# დროება

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.: 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვაგაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

«დროების» რედაქცია უმორჩილესად აუწყებს იმ პირთ, რომელნიც ადრესს გამოიცვლიან, რომ რედაქციაში უნდა წარმოადგინონ ან შვიდი შაური, ან ხუთი შვიდ კაპეიკიანი მარკა. (10—5)

თბილისი, ივნისის 5-ს.

ყოველ დროს თავისი საქმე აქვს, ყოველს საუკუნეს თავისი გადასაწყვეტი და მძიმე საზრუნველი საგანი უძევს წინ, რომლის გამოცნობას და გამორკვევას ცდილობს იგი ყოველის თავის ძალღონით. Dიდი და პატარა, მოხუცი და ყმაწვილი იმაზე ფიქრობს, იმაზე სჯის, იმაზე თათბირობს, იმაზე მღელვარებს, რაც რომ ამა-და-ამ დროს იმის არსებით საგნად გამხდარა, რაც რომ მის ცხოვრების ქვა-კუთხედად შექმნილა.

Იყო დრო, როცა ერი და ქვეყანა თავის სარწმუნოებას ზრდიდა, იცავდა, თავის კალთით ატარებდა და უხვად დათხეულის სისხლით ამ ზრუნვისათვის წამების გვირგვინით იმკობდა თავს. მაშინ დიდი და პატარა ამ საზრუნავით იყო მოცული. ქრისტიანობაზე, სარწმუნოებაზე, სამღვთო წერილზე იყო ყოველიფერი აშენებული და ერის ყოველივე ძალა და ღონე, ყოველივე სუნთქვა, ყოველივე ძარღვი მისის არსებობისა იმით სულდგმულობდა.

Იყო დრო, დრო შავ-უკუღმა, როცა გარეშე მტერი და შინაური აღრეულობა ფესვს უთხრიდა ჩვენს არსებობას, როცა შინაური მოუწყობლობა, უძლურება, შინაური და გარეული შიშიანობა ხრწნიდა და არღვევდა უიმისოდაც დასუსტებულს ერის ორგანიზმს.

მაშინ ყველას შიში ჰქონდა გამოხატული სახეზედ, მაშინ ყველა მოუსვენრად იყო, მაშინ ყველას ხვალინდელის დღის იმედი აღარა ჰქონდა და მხოლოდ ღმერთსა და საყდარზე ჰფიქრობდა, მონოზნობას ჰხადოდა ხსნად და სახსრად, გზად-ცხოვნებისათვის.

Ისეთი დროც იყო, როცა ქართველთ სული ცოტად თუ ბევრად მაღალ ინტერესებს მიეცა, როცა იგი აღფრთოვანდა და თავისუფალის შემოქმედობის წყალობით გავარჯიშებული ზედიზედ აჩენდა, ჰქმნიდა და ჰბადებდა საბუთებს და მიზეზებს თავის განვითარებისას, თავის გენიისას; ისეთი დრო, როცა მწერლობა უაღრეს განვითარებას ეძლევა და უკვდავ ქმნილებით გვირგვინდება, როცა ნაწერი და გონების ნამოქმედარი მრავლდება, მთელს ქვეყანას ეფინება და ავსებს არამც თუ საზოგადობრივ დაწესებულებათა, არამედ კერძო სახლებსაც; ისეთი დრო, როცა განსაკუთრებული გენია ხალხის შემოქმედობისა იჩენს თავს ყოველგვარ გონებრივ მოღვაწეობის სფერაში: სამხედრო წყობილობაა, თუ პოლიტიკური, სარწმუნოებაა, თუ მწერლობა, არხიტექტურა, თუ მხატვრობა, მეურნეობა თუ მრეწველობა.

Dღევანდელი დრო სხვა დროა ჩვენთვის და არა თუ ჩვენთვის, სხვისთვისაც, იმ განსხვავებით, რასაკვირველია, რომ ერთს ერთი და იგივე საწადელი ძნელად უსრულდება, მეორეს უფრო ადვილად; ერთი და იგივე ვარამი ერთისთვის ადვილი მოსანელებელია, მეორეს თან გადაყოლებას, ემუქრება...

ჩვენს ერს, რასაკვირველია, არა აქვს შეძლება, რომ თავის გონება ალმაფრენით ამოქმედოს. ჩვენი დრო ისეთი დრო არ არის, რომ ამ გვარ საქმეში მან ჩვენ ხელი შეგვიწყოს...

Dღეს ჩვენს უმთავრეს საგანს შეადგენს, სხვათა შორის, ჩვენი გონებრივი მოუმზადებლობა, განუვითარებლობა. Dღეს ჩვენთვის, როგორც სხვისთვისაც, უაღრეს საჭიროებად შექმნილა სწავლა-განათლება, ჩვენის ზნეობრივის ძალის შემუშავება, ბნელის გონების გასინათება, ბუნებრივ ნიჭთა გავარჯიშება. Dღეს არამცთუ ჩვენ, მთელი წინ-წასული კაცობრიობა, მთელი რუსეთი და Ევროპა ამაზეა მიქცეული, ამას უცქერის, როგორც მთავარს ძალას ქვეყნის წარმატებისას, კეთილ-დღეობისას. Ეს ჩვენი დრო დროა ასეთი, ხოლო ვიცით, რომ დროს ვერსად გავექცევით, რომ დრონი მეფობენ და ამისათვის ჩვენშიც ყველანი,—დიდი და პატარა, მოხუცი და ყმაწვილი იმაზეა მიქცეული, იმაზეა მიჩენილი, რომ ისწავლოს, ასწავლოს, განათლდეს თვით, გაანათლოს სხვა.

როგორც ძველს დროს ექიმი ყველა სნეულების წამლად სთვლიდა სისხლის გამოშვებას, როცა იგი ყოველთვის და ყოველ გარემოებათა შორის გაიძახოდა: purgere et clytisare-ო,

«დროების» ფელეტონი ივნისის 5-ს.

## სამგვარი სიყვარული.

(შემდეგი *)

Ერთხელ ჩვეულებრივად ქალაქს გარეთ გავიდა ცხენ-და-ცხენ Ელიკო და ერთი ვინმე კუდა-ბზიკა ახალგაზდაც თან იახლა. როგორღაც გზა დაბნევოდათ და თითქმის განთიადისას შემობრუნდენ ქალაქში... Ეს ამბავი ყველამ გაიგო და ჩაიცინეს გუნებაში. მეორე დღეს ახალგაზდა კუდა-ბზიკას შემოერტყენ გარს ყმაწვილები და დაუწყეს ლაპარაკი გადაკვრით. კუდა-ბზიკას გულით უნდოდა, რომ შეეფერებია, რასაც ეწამებოდენ, მაგრამ სინიდისმა კიდევ აღარ მიიყვანა იქამდე, რომ პირ-და-პირ დაეწყო ტრაბახი და დიდის ფიცით დადგა უარზე... მაგრამ ისეთ გვარად კი ჰფიცავდა, რომ ის მისი უარი დასტურზედაც უარესი გამოდიოდა. შეიქნა ერთი ჩურჩული, ასტყდა ყაყანი. Გაიმართა მითქმა-მოთქმა, დააბეს ფერხული და იმ დღიდან უბად-ალებული Ელიკოს ლეჩაქმა უკულმა შეიფრიალა. მისი სიტყვა-პასუხი, მიხვრა-მოხვრა, სიცილი, მოწყენა თუ მოლხენა, ერთი სიტყვით, ყოველ გვარი მისი მოქმედება სულ სხვა გვარად ეჩვენებოდათ. მაშინ კი დაფიქრდა Ელიკო... ჩაიხედა გულში, გამოფხიზლდა ცოტათი და პირველად შენიშნა ვარდ ქვეშ ეკალი... Იბჩინა ნეკზე და გაიმაგრა გული. Იმ ხანებში ერთგან წვეულება იყო... სხვათა შორის Ელიკოც იქ დაესწრო. Bუნებაზე ველარ იყო, მაგრამ, სხვების დასანახავად, თავისას მაინც არ იშლიდა და საზოგადოების მასთან ცალ-ყბად მოქცევას ვითომც ვერც კი ამჩნევდა. სადილზე ერთმა მეჭორე ქალბატონმა ტყემლის საწებელი მოაწოდა ღიმილით და სხვებს კი აქეთ-იქით თვალით ანიშნა. Ელიკომ ზდილობიანად ჩამოართვა მოსაკითხი და გადადგა განზე. პირისსახე აენთო, თვალები აუბრიალდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდენ, აღელვება დაეტყო, მაგრამ შეიმაგრა თავი და სიცილით უპასუხა: „რატომ თქვენ კი აღარ მიირთმევთ? კბილები ხომ არ მოგჭკვეთიათო?“—და მეზობელს დაუწყო ბაასი. Ცოტა ხნის შემდეგ მიუბრუნდა ისევ ის ქალბატონი: «ქალო! რატო მაგრე დაგკარგვიათ მადა? სხვას ხომ არას გააყოლეთ? Ეგება, მავნემ შეგაშინათ სადმე ტყეში და თვალ-ნაკრავი ხართ? შეალოცვინეთ»! Ელიკომ ზიზღით შეხედა და ხმა-მაღლა უთხრა: «არა, ჩემო ბატონო, თქვენ, როგორც ძველი დროს ადამიანი, ძველ რამეებს იგონებთ!.. Ამ ჩვენს დროში მავნეები, კუდიანები და ქაჯები ტყეებში აღარ ჰბუდობენ!.. Ოჯახებში სცხოვრებენ; საზოგადოებაში გამოდიან, მაგრამ შიშით კი ველარავის აშინებენ... მხოლოდ გესლს ანთხევენ და ქვეყანას ამყრალებენო“! Ამ სიტყვების შემდეგ მეჭორე ქალბატონს სახე წამოუწითლდა, კავების სწორებით რაღაცას ბუტბუტი დაიწყო, მაგრამ Ელიკოს ყურადღება აღარ მიუქცევია: მეზობელთან გაერთო საუბარში.

Ეს იყო პირველი უსიამოვნობა; ამას თუმცა ადვილად გადარჩა, მაგრამ შემდეგშიაც კიდევ ბევრჯელ გაუმეორეს მისის მხრით ყოვლის უმიზეზოდ და მათი ატანა მით უფრო ძნელი იყო, რომ მომხრედ და მოსარჩლედ ველარავის ჰხედავდა Ელიკო. სადამდისაც შეიძლო, იბრძოლა მარტოდ-მარტომ და ბოლოს, რომ ველარ აიტანა ცხადი უსამართლობა, მოშორდა ქალაქს და გადავიდა ბიძასთან სოფლად. Ამით სულ უფრო გაიტეხა სახელი: მეჭორეებმა მოალოგინეს, ვაჟი შესძინეს და კიდევაც გაუბარეს ძიძასთან. Aღელდა საზოგადოება, მაგრამ, ზღვისა არ იყოს, რომელიც, რაკი გამოჰყრის ხოლმე ნაპირად, რაც კი შუა გულში აქვს, სცხრება—საზოგადოებაც დასწყნარდა და ერთი თვის შემდეგ Ელიკოს ხსენებაც აღარ ყოფილა... Dაივიწყეს და მოისვენეს.

Ერთხელ როგორღაც ჩემდა უნებურად მასკარადში მოვხვდი. Გაკვირვებული მასკები ზედი-ზედ ჩემთან სატიტინოდ მიდიოდენ, მაგრამ თვითოოროლა პასუხის შემდეგ კი უკმაყოფილოდ გარბოდენ. Ერთი ვიღაც ამედევნა; არც მშორდებოდა და არც არას ამბობდა.—«ჩემო კარგო! რა გინდა-თქო?»—ვჰკითხე.

—შენი ყურის გდებაო!—მიპასუხა.

—მაშ მოდი, დავსხდეთ და ვისაუბროთ.

—შენთან? Aრა! მირჩევნია, სხვას რომ ემუსაიფები, მაშინ გიგდო ყური.

—შე რაღა ჭირია?

—როცა სხვებთან საუბრობ, მიყვარს შენი ყურის-გდება და ჩემთან რომ ილაპარაკო, არა მსურს... მეძნელება!..

—Bეძნელება?!

—Dიახ, ვაი თუ მეც ისე უგულოდ და აგდებით მიპასუხო რამ, როგორც სხვებს, და მით გული დამწყვიტო. Უნდა იცოდე, რომ შენგან ცოტაც მეწყინება.

—რადა გგონია, რომ უთუოდ საცინლად აგიგდებ?

—მაშ ჩემთვის ხომ ვერ მოიშლი ჩვეულებას!!.

—Ვინ გაგაცნო მაგ გვარად ჩემი თავი?

—შენვე. Თუმცა ბევრჯელ არ მინახავხარ, მაგრამ კარგად კი გიცნობ.

—Ვინა ვარ?

—Ის, ვინც ადრე მძულდა და ვგმობდი და ახლა კი მიყვარს და ვლოცავ.

—Ოჰ, კარგად შეგისწავლია სამასკარადო ხრიკები!

—Dამერწმუნე, რომ წმიდის გულით გეუბნები.

—მეც ხომ გიცნობ?

—Gარეგნობით და შინაგანად კი ვერა! რაცა გგონივარ, ის არა ვარ.

*) იხილე „დროება“ № 118.

ისე ეხლა ჩვენ ყოველ-გვარ სნეულების დასაბამად, ყოველ-გვარ ავადმყოფობათ ვსთვლით სწავლა-განათლების ნაკლებად გავრცელებას ჩვენში. და რამდენადაც სტყუოდენ ძველნი ექიმნი თავიანთის რეცეპტით, იმდენად მართალნი ვართ ჩვენ, როცა ჩვეისნ უმთავრესის სნეულებისათვის სწავლა-განათლებას ვსთვლით უპირველეს წამლად, საუკეთესო ღონედ.

მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც! როგორი სწავლა გვეჭირვება ჩვენ? აი საგანი, რომელსაც დიდი ფიქრი ეჭირვება, დიდი გონება უნდა, რომ სასურველად გადასწყდეს.

ამ თვის 10-ს უნდა შეიკრიბოს ყრილობა სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში, განიხილოს კომისიის მიერ დასკვნილნი მოსაზრებანი და გადასწყვიტოს დიდად პასუხ-საგებელი და დიდად რთული საგანი:—როგორი განათლება გვეჭირვება ჩვენ...

## შინაური ქრონიკა

== ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო წერილი გ. ტ—ძესი გორის ვაგზალზედ მცირეოდენის ფულის პოვნის შესახებ ბ. დ. დ—ზოვის მიერ. წერილის დამწერი უსაყვედურებდა ამ უკანასკნელს, რომ მან დაბეჯითებით შეიტყო ამ ფულის დამკარგველი ვინც იყოვო, მაგრამ მაინც მესამედი მოითხოვა კანონის თანხმად და ჟანდარმს გადასცა შესაბამის ოქმის შესადგენადაო. ეხლა ჩვენ ნამდვილად გვატყობინებენ, რომ ვერც მპოვნელს და ვერც ჟანდარმს მაშინ ვერ გაუგიათ, ვინ ყოფილა დამკარგველი ფულისა, თუმცა ჟანდარმს ორჯერ და სამჯერ მოუკითხავს ხალხში - პორტმანი ხომ არავინ დაჰკარგეთო. ბოლოს გამოჩენილა დამკარგველი, რომლისთვისაც გადაუციათ ორი მესამედი; ხოლო დანარჩენ მესამედზედაც ბ-ს დ. დ—ზოვს უარი განუცხადებია და უთხოვნია მაზრის უფროსის თანაშემწისათვის, რომ დანარჩენი ფულიც კუთვნილებისამებრ გადაეცათ.

== ხალხში დღევანდლამდე დარჩენილია ერთი კეთილშობილური და დიდად გონივრული ჩვეულება, რომელსაც ოჩხარს ეძახიან და რომელიც ბევრს დალუპულსა და გაჭირვებულს კაცს სულს უდგამს და ფეხზე აყენებს სოფლის ღონიერობის წყალობით. საქმე ის არის, რომ რომელიმე შემთხვევით დაზარალებული კაცი მართავს წვეულებას, დაიპატიჟებს სოფლის ხალხს, განუმარტავს თავის გაჭირებასა და ამ წვეულებაზედვე, სიბრალულით დაძლეულნი მოძმენი, ყველა სათითაოდ აძლევს შემწეობას ასე თუ ისე დაზარალებულს კაცს. დღეს ეს საუკეთესო ჩვეულება ხალხის ყვლეფასა და ცარცვის სალსრად გადაქცეულა ზოგიერთა ძალა-მოსილთათვის. ეს უკანასკნელნი, მომეტებულად ხელის-უფალნი სარგებლობენ თავიანთ მდგომარეობით, მართავენ ოჩხარს იქ, სადაც რომელიმე ჭირნახული და ან სხვა რამ მოსავალი და სანოვაგე ეგულებათ და ჰხვეჭავენ უგმილ გლეხთაგან თავიანთ გაუმაძღარ მუცლისათვის. ერთს ამისთანა ამბავს ჩვენ, სხვათა შორის, ქსნის ხეობიდანაცა გვწერენ. მომქმედ გმირად ამ შემთხვევისაც მოხელეთაგანია. ამ უკანასკნელს ცხვარი არა ჰყოლია, გაუმართავს ოჩხარი და ცხვარი შეუგროვებია. ხარებიც თურმე არა ჰყავს და გლეხები შიშობენ, რომ ახლა სწორედ იმისთვის მართავს ოჩხარს, რომ ხარები გაიჩინოსო.

ამ ვაქბატონს მეორე კარგი ჩვეულებითაც მოუნდომებია სარგებლობა. ჩვენ მოგახსენებთ მამითადზე: გამოჰყავს თურმე მას ურემი სოფლიდგან და მიეზიდება სარს თავის საჭიროებისათვის მაშინ, როცა ყველას თავისთვის უნდა მეხრეც, ურემიც და საქონელიც. მამითადი ანუ ნაცვალ-გარდა იმითია კარგი, რომ დღეს ერთი გამართავს და გამართავს ის, ვისაც უჭირს, ხვალ მეორე. მეორე პირველს ეხმარება მამითადში და პირველი მეორეს. ცხადია, რომ ჩვენი გმირი და მოხელე არ იკადრებს დაეხმაროს გლეხს, როცა მას მამითადი აქვს გამართული.

== «კავკაზს» გაუგონია, რომ მინისტრთა კომიტეტს ნება-დაურთავს ტფილისის საქალაქო საბჭოსათვის ისესხოს ფული წყლის გასაყვანად.

== გაზ. «ნოვოე ობოზრენიე»-ში მოთხრობილი ამბავი ბორჩალოს მაზრაში მონავარდე ავაზაკთა ბელადის მოკვლის თაობაზედ და მერე იქიდამ გაზ. «კავკაზში» გადაბეჭდილი, მართალი არ გამოდგა, როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ და ადგილობრივვე დავრწმუნდით.

== ამ ჟამად ტფილისში არის კრება სამაზრო სამღვდელოთა ვაჟების სასულიერო სასწავლებლის სახლის მოსაპოებლად და ამ საგნისათვის ფულის გასაწერად. საეპარქიო ქალების სასწავლებლისათვის ნაყიდია ზეტცერის სახლები 40,000 მან., ხოლო აწინდელი ქალების საეპარქიო სასწავლებლის სახლი ეკუთვნის სრულიად ეპარქიის სამღვდელოთა და ნასყიდია 30,000 მან. ეხლა კრებას ეუბნებიან შეისყიდონ სასწავლებლისათვის ეს სახლები 30,000 მანათადვე, მაგრამ კრება ყოყმანობს, მაგ ფასად ეგ სახლები არა ღირსო.

== გაზ. „მწყემსს“ ატყობინებენ შემდეგს: სოფ. ნებოძირში (შორაპნის მაზრაა) გაძარცული ეკლესიის ნივთები უნახავთ ერთ ღელეში, მაგრამ ავაზაკები კიდევ ვერ აღმოუჩენიათ.

== ქართველი საზოგადოება ცდილობს ღირსეულად მიიღოს ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი. სხვათა შორის, ოთხშაბათს, სამს საათზედ, «ვაზას» ბაღში უმართავს სადილს,

---

— მართლა?

— «ვინც კი კაცად მიაჩნიათ, უყვარსთ და პატივსა სცემენ, იმას არც ატყუებენო»—ეს შენგან მაქვს გაგონილი. მე შენ ვერ გეტყვი ტყუილს.

— კი, მაგრამ აქ ისეთი ადგილია რომ...

— სხვებისათვის და არა ჩემთვის!.. მე მხოლოდ აქ ვიხდი ხოლმე პირბადეს. საკვირველი გულის მოსაფხანი ადგილია მასკარადი; რამდენს შეარცხვენ! რამდენს გაამხნევებ! რამდენს ანუგეშებ და რამდენს შეაშინებ!.. პირში თქმა მილებულია. ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი ჩემი ნაცნობი და მითხრა: „ააა! ახლა კი მივხვდი! ეს ერთი ხანია, ეგ მასკა დადის აქ; აქაურობა აურ-დაურია; ქვეყნის საიდუმლო იცის და მასთანაც ენა-ბასრია: ზოგს დასცინის, ზოგს არცხვენს, ზოგს აპირშავებს და უაზროდ და უგანძრახველოდ კი არას ჩადის. სცდილობენ, მაგრამ აქაურთ ვერ უცვნიათ. ახლა კი ცხადია მაგის უცხოობა და აქაურ ამბებს შენის დარიგებით იმეორებსო“.

— შკაცრავად! შემცდარი ბძანდებით—უპასუხა მასკამ.—მე იმ კაჭკაჭთაგანი არა ვარ, სხვის სიტყვებს რომ იმეორებენ... ზნებავს ისეთი რამ გამხილო, რომელიც ამან არც კი იცის? ოთხშაბათს დილას უფროსთან რომ ბრძანდებოდი, რად ესარჩლებოდი ბამბურიძეს? საკადრისია განა ქვეყნის ორგულის ქომაგობა? მაგრამ, ეჰ, ჭკვიანი კაცი ბძანდები და გინდა სხვისი ქება გაასესხო: კარგად იციან შენისთანა კაცებმა, რომ ფარისევლობას დიდი სარგებელი მოაქვს. ნუ რას უკაცრავად, მშვიდობით!—დაცინვით დაუკრა თავი და ჩაირბინა კიბე. ცოტა არ იყო, ჩემი ნაცნობი წამოწითლდა და სთქვა: «ვიღაც ოხერი... მაიმუნი უნდა იყოსო»! მაგრამ მეკი სულ სხვას ვფიქრობდი. ბევრიც ვეცადე და ნაცნობად ვერ წარმოვიდგინე. იმ კვირაში ყველა სახლობა ჩამოვიარე, ნაცნობი არავინ დამრჩენია უნახავი; განზრახ-ვეპაასებოდი ხან ერთსა და ხან მეორეს, ვაკვირდებოდი მათ საუბრის კილოს, მაგრამ იმ მასკისებური არა მესმოდა რა. სწორედ ისევ გავჩნდი მასკარადში. დიდხანს ველოდებოდი იმ მასკას, მაგრამ აღარსად იყო. გულ-დაწყვეტილი შევედი საწიგნეში და მივუჯექი გაზეთებს. ფიქრისაგან შორს წაღებულს, მხარზედ დამკრეს მარაო; მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემი მასკა მადგა თავზე.

— ვინ შენ და ვინ მასკარადები? კიდევ მოსულხარ?.. რა ამბავია?..

— შენთვის მოვედი... შენ გელოდი?.. ასე რად დაიგვიანე?

— მართლა? აბა ერთი შემომხედე! მინდა შევატყო სახეზე: მართალს ამბობ, თუ საცინლად მიგდებ? არა, სწორედ მართალს ამბობ!... მაშ ახლა მეც გამოგიტყდები, რომ საკუთრად შენთვის მოვედი და დაგვიანებას პრანჭიობად ნუ ჩამომართმევ!. ახალმა დრამამ «სამშობლომ» შემიყოლია, სანამ არ გავათავე, ველარ დავანებე თავიო...

დრამა «სამშობლო» ისეთ გვარად მოხვდა გულზე ჩვენს ხალხს. თეატრში ტევა აღარსად იყო. უმთავრესი აზრი თხზულებისა ისე მოსწონდათ, რომ წვრილმან ნაკლულევანებას ველარ ამჩნევდენ. მე მინდოდა, რომ მასკის აზრიც შემეტყო და ვჰკითხე: როგორ მოგწონს „სამშობლო“?

— სიამოვნებით წავიკითხე, მაგრამ მოწონებისას კი ბევრს ვერას ვიტყვიო,—მომიგო.

— თუ გესიამოვნა, მოგწონებია?!

— არა... ეგ დრამა მითია კარგი, რომ ბევრს ჩააჰხედებს გულში და დააფიქრებს ისეთ რამეზე, რომლებზედაც მანამდი არ ეფიქროს,—თორემ თავის-თავად ბევრი არა არისრა!... ერთი რომ ისტორიული სიმართლე არ არის და ამას გარდაც დიდი ცილის-წამებაა ქართველ ქალებზე.

— როგორ თუ ცილის-წამება?

— მაშ ის საზიზღარი ქეთევანი განა საზოგადო სახე ქართველი ქალისა? ახლანდელი ქალების მიხედულობით თუ ვიტყვით, მეტიც ითქმის, მაგრამ ჩვენი დედები კი სულ სხვა გვარად სახსენებელნი არიან. რა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ გრძნობა დაეხშოს, სიყვარული მოეკლას და თავის პირადობა ქვეყნისთვის ემსხვერპლოს ქართველ ქალს.

— მარტო რჩეულებზე რად მითითებ? საზოგადოდ რას იტყვი? ეგებ, ქეთევანი საზოგადო სახე იყოს ქალებისა? აკი ამბობს ქეთევანი, რომ „მე ქალი ვარ და ჩემი სამშობლოც სიყვარულიაო“?

— სიყვარულიც არის და სიყვარულიც!. ის გრძნობა, რომელიც ვერ აგვამაღლებს, განა სიყვარულია? წრფელი უნდა იყოს სული, რომ მიიზიდოს სიყვარული და გულიც წმინდა, რომ ის იტვირთოს, თორემ ნაირგულევი, შებღალული და დამდაბლებული გრძნობა რაღა სიყვარულია?

— ასე არ ამბობენ სხვები.

— ეგ მათი ნებაა!. მაგრამ მე კი ასე მომიხსენებია და...

— როგორც წელანდელ შენი სიტყვიდან სჩანს, შენ უიმედო უნდა იყო ჩვენს ეხლანდელ ქალებზე?

— ვინ მოგახსენათ? დარწმუნდით, რომ დღევანდელი ქალებიც ისე მდიდარნი არიან ბუნებით, როგორიც ყოფილან ჩვენი დედები... მხოლოდ...

— მხოლოდ რა?

— ის, რომ ლიონიძეები და ხიმშიაშვილები აღარსად არიან. ეჰ, მართალია უსიამოდ ილიმებით და აგდებით ლაპარაკობთ დღევანდელ ჩვენ ქალებზედ, მაგრამ მეც საზიზღრად მიმაჩნდა დღევანდელი კაცებიო, დაუმატა ნაღვლიანად და მიმატოვა.

ბჯაკი.

(დასასრული შემდეგ)

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომელზედაც ბევრნი აპირობენ დასწრებას.

— ხვალ, ოთხშაბათს, «ევროპის» ბაღში იქნება ჭიდაობა ზლიდანელისა გამოჩენილ ქართლელ მოჭიდავე ჭობიხეველთან. მნახველნი ამბობენ, რომ ჭობიხეველი მეტის-მეტად მოსული და ღონიერი მოჭიდავეაო, ასე რომ ამისთანა მოპირდაპირე ზლიდანელს ჯერ არ გამოსჩენიაო. უეჭველია, ამ ჭიდაობაზედ დიდ-ძალი ხალხი დაესწრება, რადგან, სხვათა-შორის, შემოსავალი საქველ-მოქმედო საქმეს უნდა მოხმარდეს.

## ჩვენი სტუმარი არტურ ლეისტი თბილისში.

აი ის მოკლე სიტყვა, რომლითაც მიჰმართა პოეტმა — მასპინძელმა პატივსაცემს და სასურველს სტუმარს მისის სადღეგრძელოს დალევის დროს:

«დღეს ჩვენ შორის ბძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდამ მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომაც ორ-ნაირად სასიხარულოა მისი ჩვენ-შორის ყოფნა. ქართველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა და უფრო დიდი პატივისცემა თავისის სულით და გულით მახლობლისა და თავისიანისა. მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძღოდეს ამ შემთხვევაში. ბ—ნი არტურ ლეისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო შუა-კაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპის შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენი გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენის ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან. თუ აქამომდე შორიდამ ვუყვარდით ბ—ნს ლეისტს, დღეს აქ მობძანებულა, რომ ახლო გაგვიცნოს. იმედია, რომ ახლოდ გაცნობილი ქართველი უფრო მეტად შეაყვარებს თავის თავსა. იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბ—ნის ლეისტისა მოჰფენს მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან და იმ პატარა სამოთხეში ჰსცხოვრებს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბ—ნი ლეისტი.»

საღამოს ათი საათი გახლდათ, როცა საპატიო მასპინძელმა და რავდენიმე მოწვეულმა ძვირფასი სტუმარი წაიყვანეს მტკვრის ნაპირად მდებარეს «ვაზის» ბაღში, სადაც გულ-გაშლილად ილხინეს და ტკბილ მასლაათს შეექცნენ ხეების ქვეშ, სათევზო აუზის ნაპირზედ გაშლილს ქართულს სუფრაზე. ქართულს, ნემეცურს და პოლშურს ისტორიასა და ლიტერატურაზე საუბარი ერთი მეორეს ზედ მიჰყვებოდა, ერთი მეორეს ავსებდა...

ვახშმის დროს გულითადს სადღეგრძელოებს ბანს აძლევდენ თავისის გრძნობიერის ხმით დაფა-ზურნა, დუდუკი და სალამური...

— ჩინებულად შეთვისებულია ეს მუზიკა, რამდენადაც მე მესმის — თქვენს ნაციონალურს ისტორიულს ცხოვრებასა და თავგადასავალთანო, — სთქვა შორით მოსულმა სტუმარმა...

ილ. ჭავჭავაძის სადღეგრძელოს დროს, პატივცემულმა სტუმარმა, სხვათა შორის, უთხრა მას:

— როცა მე თქვენს ლექსს «მტკვრის პირზედ» ნემეცურად ვსთარგმნიდი, — მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმავ მტკვრის პირზე მე თქვენთან ერთად ნადიმად ჯდომა მოშიხდებოდაო...

ვახშმის შემდეგ, ღამის თორმეტ საათზე სტუმარი მიაცილეს თავის ბინაზე.

მეორე დღეს არტურ ლეისტი იყო „წერა-კითხვის საზოგადოების“ სამწერლოში. ნახა სურათები რუსთაველისა და თამარისა, გულ-მოდგინედ დაათვალიერა „საზოგადოების“ ხელ-ნაწერთა ბიბლიოთეკა და სათითაოდ გადასინჯა ეტრატზე ნაწერი წიგნები მინიატურულის მხატვრობით. გასინჯა ეგრეთვე «წესდება» საზოგადოებისა და რამდენიმე § ქართულად წაიკითხა.

## საკამათო ბაასი

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა მაისის 27 საზოგადო კრებაზე.

(დასასრული *)

ბაასი სხვა საგანზედ გადავიდა. ნ. დიასამიძემ საზოგადოების გამგებლებზედ ანუ აგენტებზედ ჩამოაგდო ლაპარაკი.

ნ. დიასამიძე. მე კიდევ იქა ვარ, რასაც წინად ვამბობდი. თუ თქვენ გინდათ გააძლიეროთ და გააცხოველოთ თქვენი მოქმედობა, უნდა სანდო კაცები გყავდეთ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში; მაგრამ ეს სანდო კაცები უნდა შესაფერის უფლებითაც იყვნენ შეჭურვილნი, რომ დაუბრკოლებლივ იმოქმედონ საზოგადოების სახელით; მაგ. ვთქვათ, მე თქვენი გამგებელი ვარ, მიველი რომელსამე სოფელში და ვამცნევ ხალხს, რომ სკოლა გამართონ და ამის თაობაზედ განაჩენი დაადგინონ. თუ მე შესაბამი უფლებაც არა მაქვს ამისათვის, მთავრობას შეუძლიან უკანონოდ იცნოს ჩემი მოქმედება სოფლის საქმეებში გარევისათვის. ჩვენ წესდების ძალით აგენტის ამორჩევის ნებაც არა გვაქვს.

ივ. მაჩაბელი. ჩვენ ნება გვაქვს, წესდების ძალით ავარჩიოთ გამგებლები პროვინციებში.

*) იხ. „დროება“ № 117.

ნიკ. ცხვედაძე. მართალია, ჩვენს გამგებელს და ამორჩეულს პირს არ შეუძლიან სოფელში შევიდეს და განაჩენის შედგენა მოითხოვოს რომელსამე საქმის თაობაზედ, მაგრამ რჩევით კი შეუძლიან ურჩიოს, როგორც კერძო კაცმა.

ნ. დიასამიძე. კერძო კაცი რომ მივიდეს, თუნდა გამგებლად არჩეულიც იყოს, არ ივარგებს. მე იმ აზრისა ვარ, რომ, ვისიც არჩევა გინდათ გამგებლებად, ის აირჩიოს კრებამ მმართველობის წევრებად. ამ შემთხვევაში იგი, თუმცა კერძო კაცი იქნება, მაგრამ მაინც უფრო მეტი საბუთი ექნება საზოგადოების სასარგებლოდ იმოქმედოს და მთავრობაც ხმას არ გასცემს.

ნ. ცხვედაძე. ჩვენ ამას წინად ამოვარჩიეთ კაცები და გავგზავნეთ სოფლებში სკოლების დამართვის შესახებ განაჩენების შესადგენად, მაგრამ მთავრობამ ნება არ მოგვცა, — სოფლებს თუ უნდათ რამ, თვითონ მოგმართავენო.

ვას. მაჩაბელი. საზოგადოების წესდების მე-16 § ძალით, მმართველობას შეუძლიან თავისი უფლება ვისაც უნდა იმას გადასცეს, სახელად კი რაც გინდა უწოდეთ, ვისაც აირჩევთ: გინდა წევრი მმართველობისა, გინდა გამგებელი, გინდა აგენტი.

ი. გოგებაშვილი. ჩვენ სამი საფუძველი გვაქვს, რომელთ ძალით, წესდების თანხმად შეგვიძლიან ავირჩიოთ საჭირო და სანდო კაცები პროვინციებში მოქმედობისათვის: შეგვიძლიან მმართველობის წევრებად ავირჩიოთ იგინი, შეგვიძლიან დავნიშნოთ საზოგადოების საქმეთა გამგებლებად და შეგვიძლიან კიდევ ავირჩიოთ წევრებად — დამხმარებლებად.

ივ. მაჩაბელი. რასაკვირველია, საქმე სახელი არ არის, რაც გინდა დაუძახეთ, მაგრამ მმართველობის წევრებად მათი არჩევა არ ივარგებს: წევრებს კრება არჩევს და მმართველობას კი უკვე არჩეული ჰყავს თავის მხრით გამგებლები. კრებამ რომ იგინი წევრებად არ ამოარჩიოს — ხოლო ეს შეიძლება მოხდეს — ვერ იქნება კარგი. ან კი რა საჭიროა ეს, როდესაც ადგილობრივს გამგებელს ყველა ის უფლება ექმნება მიცემული, რაც თვითოეულს წევრსა აქვს მმართველობისას.

ან. ღულაძე. მეორე უხერხულობასაც ვუჩვენებ გამგებლების წევრებად არჩევისას. გამგებლები ყველა მაზრაში უნდა იქმნან არჩეულნი. მათი რიცხვი ოც-და-ათ კაცზე მეტი იქნება, თბილისში სხდომას როგორღა მოახდენთ, უმრავლესობას როგორღა შეჰკრებავთ კრებაზე. ოც-და-ათის კაცის მაგივრად, ოთხი და ხუთი ხომ ვერ გადასწყვეტს საგნებს?

ნ. დიასამიძე. წესდება მაგაზე არას ამბობს და ეგ გარემოება არ დაუშლის სხდომის შედგენას აქ.

ნ. დიასამიძეს უპასუხეს, რომ მართალია წესდებაში არაფერი სწერია მაგ საგანზე, მაგრამ საზოგადო კანონები ისეთია, რომ კრება მაშინ შესდგება რომელსამე დაწესებულებისა, როდესაც წევრთა უმრავლესობა დაესწრობა სხდომაზედაო.

ნ. დიასამიძე. არა მგონია საზოგადო კანონების წინაალმდეგი იყო ის, რასაც მე ვამბობ.

ვას. მაჩაბელი. სენატორთა რიცხვი შეიძლება 40 იყოს, მაგრამ სამს მათგანს შეუძლიან სხდომა მოახდინოს და გადასწყვიტოს საქმეები.

თ. ჟორდანია. აქა სთქვეს, რომ მმართველობამ დანიშნოს გამგებლებიო; ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, რომ საზოგადოებამ აირჩიოს იგინი.

აკაკი წერეთელი მემიკვირს, რატომ არ გინდათ, რომ წევრებად აირჩიოთ მმართველობაში. პენსიას არ აძლევთ და არაფერს. თქვენ ცოტანი ხართ, ვერას ასწრობთ და ვერას აკეთებთ. იქნება, წაგახალისონ იმათ.

შემდეგ ილაპარაკა პ. უმიკაშვილმა და წარმოსთქვა, რომ პროვინციებში მმართველობის წევრების არჩევა სასურველი არ არისო. შეიძლება, განყოფილებანი დაარსდეს იქ, როცა საზოგადოება გავრცელდებაო. აქ საზოგადოებას თავისი აზრი აქვს, ერთის მიმართულებით მოქმედობს, და ეს აზრი, ეს მიმართულება გაუძნელდება მმართველობას გაუზიაროს იმათ, ვინც პროვინციებში არიანო.

შემდეგ გადაწყდა, რომ მმართველობამ აარჩიოს გამგებლები.

კრებამ დაამტკიცა აგრეთვე წლიური ანგარიში საზოგადოებისა.

დასასრულ ბაასი მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ — აღრიცხვაზე გაიმართა და ან. ღულაძემ სთქვა, რომ ეგ აღრიცხვა დაბეჯითებით არ არის შედგენილიო. მას უპასუხეს, რომ სავარაუდო აღრიცხვა იმიტომ ჰქვიან, რომ დაბეჯითებით ვერ შესდგებაო, რომ ბანკშიაც კი ვერ ადგენენ ნიშანდობლივ და ნამდვილადაო. ხარჯი იმაზეა დამოკიდებული, ფული რამდენი შემოვაო; თუ ფული არ შემოვა, ისეთ ხარჯს დავაკლებთ, რომელიც აუცილებლად საჭირო არ არისო და სხვ.

კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვის ფურცელიც.

სულ ბოლოს აკაკიმ ჩამოაგდო ლაპარაკი სახალხო ნაწარმოებთა შეკრებაზედ და საზოგადოდ ხალხის სიტყვიერების მნიშვნელობაზედ. აკაკი ითხოვდა, რომ საზოგადოებას დაენიშნა მცირე ჯამაგირი იმისთვის, ვინც იკისრებდა ამ საქმეს სოფელ-სოფელ სიარულით.

ა. ფურცელაძე. ეგ, ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობით მეტია, ანუ, რუსები რომ ამბობენ, роскошь. ჩვენ, რაც უფრო საჭიროა, იმაზე უნდა დავხარჯოთ ჩვენი შეძლება. კაცს რომ პური არა ჰქონდეს, ვარდზე ფიქრი რას არგებს.

ან. ღულაძე. უვარდოდ კაცის ცხოვრება არ შეიძლება, უსათუოდ

საჭიროა შეკრება ზლაპრებისა (სიცილი).

თავსმჯდომარემ მოსპო ამაზე ბაასი და გამოაცხადა, რომ კრება გათავდაო.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 2-ს.

**ტაშკენთი.** დღეს დილით მოვიდა აქ ახალი გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი როზენბახი. ადგილობრივი მცხოვრებლები თანაგრძნობით დახვდენ; ქუჩები დროშებით არის მორთული; საღამოზედ ჩირაღდანი იქნება.

**კაირი.** აჯანყებულების მიერ ბერბერის აღების ამბავი სრულებით მართალი გამოდგა.

**მადრიდი.** გუშინ სიკვდილით დასაჯეს ხერესში შვიდი წევრი საიდუმლო საზოგადოებისა, რომელსაც „შავი ხელი“ ეწოდება.

# განცხადებანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგამ 1 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 სათიდგან 11-დე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავადმყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ბორალევიჩი ოთშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავად-მყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით 11 $^{1}/_{2}$ საათიდამ 12 $^{1}/_{2}$-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული ავად-მყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობის წამლობისთვის.

კბილის ავად-მყოფობის ექიმი ვოლფზონი ყოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდან ბარათი ექნებათ.

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1--40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, გიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—31)

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, გიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოსები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეველები, სამარილეები, გარჩიცის სათხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—14)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

# საქართველოს მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქართველოს უმთავრეს ქალაქებში. (3—1)

ინგლისის მაღაზიაში,

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—35)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საკლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, გიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმედად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, საგარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კოპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, გრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—93)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივნისიდამ 15 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ადგილობრივი ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| ჯვარის-მამი პური: პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.

Доз. ценз. Тифлисъ, 4 Іюня 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.